სსრ კავშირის თასზე
თბილისის „დინამოს" გამარჯვება

განვლილ შაბათ-კვირას შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები.

თბილისის „დინამო" ზაპოროჟიეში შეხვდა ადგილობრივ „მეტალურგს". ტალახიანი მინდორი საგრძნობლად უშლიდა ხელს მოთამაშეებს და ტაიმი ისე დამთავრდა, ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო კარის აღება.

ანგარიში გაიხსნა მე-60 წუთზე, როცა მეტალურგების ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავისი კარის სიახლოვეს, რისთვისაც მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. ყიფიანმა ზუსტად დაარტყა მიზანში _ 1:0. 65-ე წუთზე მასპინძლებმა შეძლეს საპასუხო გოლის გატანა (დეგტიარიოვი) და მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა _ 1:1.

დაინიშნა დამატებითი 30 წუთი, რომელმაც ანგარიში არ შეცვალა. საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების დანიშვნა. თბილისელებმა (ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე, ჭელიძე, ყიფიანი) ხუთივე დარტყმა ზუსტად გამოიყენეს, მეკარე გოგიამ კი ერთი ბურთი მოიგერია და გამარჯვება საერთო ანგარიშით 6:5 დარჩათ თბილისელებს, რომლებიც მერვეედფინალში გავიდნენ.

„დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, დარასელია, გუცაევი, ყიფიანი.

„ლელო", 30.III.76